№ 115

პარ.სკევი, 13 ივნისი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 115

პარასკევი, 13 ივნისი 1897 წ.

**ხაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| [illegible]1 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| [illegible]0 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მთავრობის განკარგულებანი

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო უწყებაში გზობით: ნადვორნი სოვეტნიკობა,—ერევნის გუბერნიის საგანგებო მინდობილებათა მოხელეს ბ-ნს ყორყოლაძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა დასახლებულ ადგილთა მეთვალყურეს, საგანგებო მინდობილებათა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს ბახტაძეს.

## ახალი ამბავი

—

*** საქართველოს ექსარხოსს ტფილისის გუბერნატორისათვის გაუგზავნია დასამტკიცებლად თელავის მაზრის აკურის სოფლის საზოგადოების განაჩენი—აკურში სოფლის ხარჯზედ სამრევლო-საეკკლესიო სკოლის სახლის აშენების შესახებ.

*** დუშეთის მაზრის სოფელ წირის გლეხებს თხოვნა მიუციათ კავკასიის მთავრობისათვის, რომელშიაც აცხადებენ, რომ სოფ. წირში ავაზაკთა დასია არსენა ხუბიაშვილის წინამძღოლობით, რომელიც თავის ძარცვა-გლეჯით მოსვენებას არ აძლევს თურმე მცხოვრებელთ. გლეხები თხოულობენ, რომ მთავრობამ რაიმე ღონე იღონოს ავაზაკთა ასალაგმავად.

*** გორის ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარიაში წელს სწავლა გაათავა სულ თოთხმეტმა მოსწავლემ, მათ შორის სამი ქართველია: ჯუღელი, ქუთათელაძე და რამიშვილი.

*** ქალაქის გამგეობას უთხოვნია პოლიცმეისტერისათვის და მომრიგებელ მოსამართლისათვის, რათა მათ პოლიციის და სასამართლოს ბოქაულების შემწეობით აღკრძალონ იმ ძველ ტანისამოსის გასყიდვა, რომელსაც სადეზინფექციო სადგურის ნიშანი არ ექნება.

*** ქალაქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულო იმ საჩივრების განხილვას, რომელიც ქალაქის ხმოსანთა არჩევანებს შეეხება, შეუდგება მომავალ კვირას. ასეთის საჩივრების შეტანა 9 ივნისამდე შეიძლებოდა და მანამდე უკვე ხუთი საჩივარი შეუტანიათ. თამამშევს და საბენევსკის გარდა, რომელნიც მოხსენებული გვქონდა „ივერია“-ში, საჩივარი შეუტანიათ: 1, ქ-ნ გუგულოვისას, 2, ვაჟთა პირველ გიმნაზიის წარმომადგენელს მასწავლებელს აგაპიევს და 3) ამომრჩეველთ ვ. და გ. ვორონინებს, მინეევს, პანკრატიევს და ხუთს რიყის სახლების პატრონთ.

*** რადგანაც ჯედდში შავი-ჭირი მაჰმადიან მლოცავებს შეუტანიათ, კავკასიის მთავრობას განკარგულება მოუხდენია თვალ-ყური ადევნონ და გასინჯონ ხოლმე ბათუმსა და ბაქოში ამიერ-კავკასიის გზით მიმავალი მაჰმადიანნი.

*** ამ წელს უმაღლესის ბრძანებით ქვეთა ჯარისა, ქვეითა და ცხენოსან არტილერიის სათადარიგო ჯარის-კაცნი იქმნებიან გაწვეულნი სასწავლებლად. ამათ შორის გაწვეულ იქმნებიან აგრეთვე 1892 და 1887 წ.წ. კავკასიელნი ქვეითა ჯარის კაცნი. სწავლის დროდ არტილერიის მეციხოვნეთათვის 28 დღეა დანიშნული, ქვეითა ჯარის სათადარიგო ჯარის-კაცთათვის 21 დღე და იმ სათადარიგო ჯარის კაცთათვის, რომელთაც 3 წელზედ მეტი უმსახურნიათ,—14 დღე. სწავლა 1-ლ ოქტომბერს დაიწყება.

*** ტფილისელ მხატვართ განზრახვა თურმე აქვთ ამ წელსაც გამართონ თავისს ნაწარმოებთა გამოფენა. ამ გამოფენაში ყველა საუკეთესო მხატვარი მიიღებს მონაწილეობას. მრავალი ამათგანი უკვე ამზადებს სურათებს მომავალის გამოფენისათვის.

*** ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში წრეულ 44 ქალს დაუმთავრებია სწავლა. ამათში 22 რუსია, 17 ქართველი, 3 პოლონელი, 1 სომეხი და 1 ებრაელი.

მოგვყავს ქართველ ქალთა გვარები: ანდრონიკაშვილის ასული იულია, ახვლედიანის ასული სარრა, დუმბაძის ასული ოლგა, კლდიაშვილის ასული ოლგა, ქუთათელაძის ასული ნინო, ლაკრიბაის ასული აგრაფენა, მგელაძის ასული ნატალია, მიქელაძის ასული მართა, თურქიას ასული ნატალია, ხარაზიშვილის ასული ნინო, ხოჯაშვილის ასული სოფიო, სუმბათაშვილის ასული ელენე, წულისკირი ალექსანდრა, წულუკიძის ასული ანნა, ჩიკვაიძის ასული ზინაიდა, ჩიკვაიძის ასული მარიამ და შატილიშვილის ასული ელენე.

ამათგან ხოჯაშვილის ასულმა სოფიომ ოქროს მედალით გაათავა სასწავლებელი.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიუწერია სახელმწიფო ქონებათა გამგეობათათვის, თუ კერძო კაცთა შუამდგომლობის დროს რა მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელონ, რომ კერძო კაცთ სახელმწიფომ ადგილ-მამული გაუცვალოს, ტყის ნაცვლად სახნავი მიწები მიუზომოს. ჯერ ერთი სახეში უნდა იქონიონ, რამდენად დიდი ადგილი უჭირავს ტყეს, როგორ არის შენახული იგი და აგრეთვე იმას, ხსენებული ტყე ისეთ ადგილას არის, სადაც ტყეები სულ მთლად არ არის, თუ მახლობლად სხვა ტყეც არისო. მეორე, ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენად ახლო, ან დაშორებულია იგი სახელმწიფო სატყეო გამგეობისაგან, რა შემოსავალს იძლევა, რომლის გამოსაკვლევადაც კერძო კომისია უნდა დაინიშნოს ხოლმე სახელმწიფო ქონებათა და სახელმწიფო კონტროლის მოხელეთაგან და აგრეთვე მეცნიერულად გამოირკვეს, ხსენებულს ტყეში რა და რა ჯიშის ხე ტყე რა შემოსავალს იძლევაო.

*** გაზ. „მეურნეს“ სიტყვით, თავ. ნ. ვ. ორბელიანის მამული, ბორჩალოს მაზრაში, მაშავრის ხეობაში, სადაც ძველი შესანიშნავი, მართლ-მადიდებელთა ჰითარეთის ეკკლესიაა, ბ ნ ტარაიანცს დარჩენია 3,000 მანეთად.

*** სოფ. ხიდიყუსი (კავკავის მაზრა). ამას წინად ხიდიყუსელი ოსი სახელმწიფო ტყეში წავიდა. ოსს მოასწრო ტყის მცველმა და ცულის წართმევა დაუპირა. ოსი გაუძალიანდა და აურზაური დაუწყო. გულმოსულმა ტყის მცველმა ოსს რევოლვერი დასცა და იქვე სული გააფთხობინა.

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

ჩემი მზე სხვისა მზე გახდა,
ვჰლექდები სიყვარულითა,
მომიკვდა გული, დავეცი
ჯანით, გონებით, სულითა;
ვერრით გამკურნეს ექიმთა,
ვერც წამლით, ვერცა თქმულითა,
მასწავლეთ: რით-და მოვრჩები,
რომელის სასწაულითა?

დ. მაჩხანელი

## ისტორიული შენიშვნები ქართველებისა და სომხების ურთიერთობის შესახებ

**წერილი პირველი**

(საქართველოს ალბანია)

„სიმართლემ სძლია ბოროტსა;
არსება მისი გრძელია.“

შოთა

(დასასრული *)

ავქსონი ნერსეს ცხოვრების შესახების ცნობებისა ტომით სომეხია, მოსე კაგანკატვაცი, შემდგენი ალბანიის ისტორიისა. ავქსონს ისტორიისას ეტყობა, რომ ქართველები არაფრად ეპიტნავება, არ უყვარს, ეჯავრება; ქართველებსა და მართლ-მადიდებლობაზედ თავისს თხზულებაში მოსე კაგანკატვაცი დაცინვის კილოთი ლაპარაკობს. ზემოხსენებულს ნერსეს მოსე უწოდებს „მგელს“, „ანტიქრისტეს“, „სარწმუნოების დამღუპავს“, „სულთა გამრყვნელს“ და სხ... რისთვის?! იმიტომ რომ ის გაკადნიერდა და ხმა ამოიღო დასაცვავად და გასამტკიცებლად სომეხთაგან შეგინებულის მართლ-მადიდებლობისა. რისთვის?! იმიტომ რომ მან თვალები აღუხილა საქართველოს ალბანიის ქართველებს, შეაგნებინა, გაუთვალისწინა მათ-მათი „მე“. იმიტომ რომ მან ლაგამი ამოუდო მადა-გაღვიძებულს, ფანატიკურის გრძნობით გატაცებულს სომხის სამღვდელოებას და მოსარჩლე გაუხდა მის მიერ სასიკვდილოდ განწირულს მართლ-მადიდებელს ერსა! იმიტომ რომ მან იღვაწა და თავი შესწირა მართლ-მადიდებლობითს სწავლა-მოძღვრებას!! ამ სამწუხარო ამბის შემდეგ სომხის სამღვდელოებამ ძველებურად განაგრძო თვისი მოღვაწეობა დასათრგუნვად მართლ-მადიდებლობისა საქართველოს ალბანიაში... არაბებიც სომხებს ხელს უწყობდნენ ამ საქმეში, ვინაიდგან მათ (სომხებს) კარგის თვალით უცქეროდნენ... ზოგიერთი სომხები განზრახ ხელს იღებდნენ სარწმუნოებაზედ, ჰხდებოდნენ მაჰმადიანები, ივიწყებდნენ ღმერთს, სვინიდისს, საიქიო ცხოვრებას, ალბად იმ აზრით, რომ ყოფილიყვნენ მშველელნი თვისის მოძმე ერისა. აი რას ვკითხულობთ საქართვ. ეკკლესიის მოწამის წმ. კონსტანტინე მთავრის ცხოვრების აღწერაში († 849). როდესაც მაჰმადიანთ მეფეს წმ. კონსტანტინე ქართველმა უარი უთხრა მაჰმადიანობის მიღების და მტკიცედ აღიარა იესო მაცხოვარი, „მეფემ მიავლინა მისა ორნი იგი ერისთავნი, რომელნი ტყეობითვე მიეყვანნეს სომხითით და უარის ყოფითა ქრისტესითა პატივცემულ იყვნეს მის წინაშე და ვითარ მივიდეს იგინი, რქვეს ნეტარსა მას: ნუ დაგრომილ ხარ შენ სიფიცხესა მაგას შინა, ვითარცა უგულისხმო, რამეთუ გონიერად ვიცით შენ და ჩვენცა ქრისტიანენივე ვიყვენით, არამედ ვერ შეუძლეთ წინა-აღდგომად ბრძანებასა მეფისასა. ამისთვისცა მოვიგეთ მისგან პატივი, ხოლო საუკუნეს მას ცხოვრებისას ვინ უწყის, რაი უმჯობეს არს“ [12]), ესე იგი ვინ იცისო, აქაური ცხოვრებ ჰსჯობს, თუ საიქიოსიო, ჩვენ დიდს პატივში ვართო და საიქიო ცხოვრებას რას დავეძებთო... სომხის სამღვდელოებამ საქართველოს ალბანიაში ბევრი ძალათაც გაასომხა, მაგრამ მთელი მხარე არ თანაუგრძნობდა გასომხებას; იყვნენ იქ მართლ-მადიდებლობის ერთგულნიც, რომელნიც მუდამ იდევნებოდნენ სომეხთაგან, ვითარცა მწვალებელნი[13]).

მეათე საუკუნის დამლევს საკუთარს კახეთს თვისი მეფე ჰყავდა და ჰერეთსაც თავისი. ორივე მეფე სომხის სარწმუნოებას აღიარებდა. ცნობები უფრო დაბეჯითებით ჰერეთის შესახებ გვაქვს. ჰერეთის მეფეს მეათე საუკუნის დასაწყისისას ადარნასე ერქვა. ადარნასე კარგად ჰხედავდა, რომ ჰერეთლები მართლ-მადიდებლობას თანაუგრძნობდნენ და სომხის სარწმუნოების მოძულენი იყვნენ. ამავე დროს მას ჰმტრობდა კახეთის მეფე კვირიკე პირველი († 918). ადარნასე წინასწარ გრძნობდა, რომ დღეს თუ არა, ხვალ ჰერეთში მართლ-მადიდებლობა გაიმარჯვებდა სომხის სარწმუნოებაზედ და ამიტომ დაუნათესავდა კლარჯეთის ერისთავთ-ერისთავს ადარნასეს († 898), რომლის ასული დინარა ცოლად შერთო თვისს მემკვიდრეს იშხანიკს. ადარნასე და მისი მემკვიდრე გურგენი მოყვარულნი და მფარველნი იყვნენ მართლ-მადიდებლობისა. მათის გავლენის ქვეშ აღიზარდა დინარა, დედოფალი ჰერეთისა. დინარას დიდი საკეთილო გავლენა ჰქონდა ჰერთზედ და სცდილობდა დაეკავშირებია ეს მხარე ქართლთან და მცხეთის საკათოლიკოსო ტახტთან. ასეთი ცდა დინარასი დიახ რომ გონიერი ცდა იყო, შეესაბამებოდა ჰერეთლების არსებითს სურვილს, მათს ისტორიულს გარდმოცემათა, მათს ეროვნულს ხასიათსა და მოძრაობას... ძნელი იყო მართლ-მადიდებლობის ლამპარის ჩაქრობა იქ, სადაც მიწა მორწყული და გაჟღენთილი იყო მართლ-მადიდებლობისათვის თავ-გაწირულის მოღვაწეების ოფლითა და სისხლითა, და სადაც მიწის წიაღში მშვიდად და ტკბილად განისვენებდნენ წმიდა ძვლები და ნაწილები ამ უკვდავის მოღვაწეებისა..

ქართლი და კახეთი იმ თავითვე ძმები იყვნენ ჭირსა და ლხინში. დიდის აღტაცებით მიიღეს კახელებმა წმ. ნინოს ქადაგება და წინააღმდეგობის გამოუცხადებლად მოინათლნენ. ერთს ხელთ-ნაწერში ნათქვამია: „წმ. ნინო ჩავიდა კახეთს და დადგა კაწარეთს და მოაქცივნა იგინიცა. მერმე გადავიდა ქველ-დაბას და მოუწოდა მთავართა კახეთისათა. ხოლო მათდა პირველივე უწყებულიყო სარწმუნოება ქრისტესი და ნათლის ღება მეფისა (მირიანისა). სიხარულით შეიწყნარეს სწავლა მისი და მოიქცეს და ნათელ იღეს ხელითა იაკობ მღვდლისათა.“ [14]) ქართლში დაწყებული ღვაწლი წმ. ნინომ ქიზიყში დაასრულა და იქ მიაბარა თავისი უმანკო სული უფალსა. წმ. ნინო „დასნეულდა და მოიწია კხოეთას (კახეთს) დაბასა ბოდინს (ბოდბეს) და ვერღარა ეძლო სლვად... და მოუვლინეს მცხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოვანე მთავარ ეპისკოპოსი ხილვად და წარყვანებად, ხოლო მან არა ინება [15])... შეავედრა სული თვისი ხელთა ღვთისათა. მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქა-

*) იხ. „ივერია“ № 114.

[12]) საქართველოს სამოთხე მ. საბინინისა გვ. 367.

[13]) Исторія Албаніи Моисея Каганкатваци, пер. Эмина, стр. 237—248; 255, 266, 267 и 342 და „Дух. Вѣстн. Груз Экз.“ 1893 г. №№ 4 и 5, статья В. Джанаева.

[14]) ქრონიკები თ. ჟორდანიასი გვ. 34.

[15]) თვისი მცხეთაში წაყვანა და იქ დაფლვა, როგორც სურდა მირიანს.

⁂ დ. ახაშ. ჩვენს დაბას ამ ბოლოს დროს ერთი ფრიად გულ-შემატკივარი (?), მაგრამ იმავ დროს, სამწუხაროდ, ცრუ ექიმი აღმოუჩნდა, რომელიც, ვინ იცის, რა განსაცდელამდე მიიყვანს მთელის დაბის მცხოვრებთ, თუ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და მაზრის ექიმმა დროზედ რაიმე ღონე არ იღონეს. საქმე ის არის, რომ ეს დაუპატიჟებელი და არაფრად სასიამოვნო ვაჟბატონი თითონ ამზადებს წამლებსა და ურიგებს ხალხს. ხალხი ნდობით ეპყრობა დღემდის, მაგრამ ცრუ-ექიმის წამლობამ ბევრს სიცოცხლე მოუსწრაფა, ბევრი განსაცდელში ჩააგდო და, შეიძლება, კიდევ ბევრი სხვაც იმსხვერპლოს, თუ საქმეში უფლებითა და ძალით მოსილი ადამიანი არ ჩაერია. ამ შემთხვევაში, მოგეხსენებათ, ხალხი მალე ვერ მიჰხვდება ხოლმე მოსალოდნელს უბედურებას და თვალ-დახუჭული მიისწრაფვის მისკენ. ადმინისტრაციისა და მაზრის ექიმის პირდაპირი მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე მიიღოს რაიმე ჯეროვანი საშუალება.

⁂ სოფ. კოშკა (გორის მაზრა). 3 ივნისს სეტყვის დროს ფლავისმანში კიდევ ერთი ამბავი მოხდა. სეტყვისა და ავდრისაგან იქაურივე გლეხ-კაცი ჯავახი მიეჩქარებოდა წისქვილში, ამ დროს ავდარმა დაუშვა კოკისპირულად, ხევებიდგან მდინარეებმა იწყეს შხუილი, გამოჩნდა ერთი ოსი გიგოლაშვილი, თავისის ორის გასათხოვარის ქალით, რომელთ შორის ერთი დანიშნული ჰყავდა. უფროსი ქალი 16 წლისა იყო, მეორე—14 წლისა. ისინი ამ ავდარში წისქვილში შევიდნენ თავშესაფარად, ჯავახიც იმათთან ერთად წისქვილში შეიყუჟა, მაგრამ დაუნდობელმა ავდარმა ორის საათის განმავლობაში წისქვილი მოიტაცა და იქ შეფარებულნი მდ ნარემ დაარჩო. ამავე დროს ფლავისმანის ნათლისმცემლის ეკკლესიის კარებს მიაწვა და შეიმხუილა მდინარემ ეკკლესიაში, ჩამოურბინა სა[ფ]ლაოს და დააგორა საფლავის ქვები, გაიტაცა ოთხი მკვდარი, ამოიტივტივა სასაფლავოდგან ორი მიცვალებული, ორის თვის დასაფლავებულები. პატრონებმა ორი ვერსის სიშორეზე იპოვნეს, გარიყულები. რამდენი ამისთანა საცოდაობა დატრიალდა ფლავსა, ფლავისმანსა და გარშემო სოფლებში, ვინ მოსთვლის. მას აქეთ მოხელენი დადიან და სწერენ, სად რამდენი და რა ზარალი მოხდა.

⁂ სად. სამტრედია. 11 ივნისს, საღამოს 6 საათსა და 15 წამზედ, რკინის გზის დარაჯის ცოლს ალექსანდრა ანდრეევისას რკინის გზის ლიანდაგზედ გადასვლა უნდოდა, მაგრამ ლიანდაგზედ ამ დროს საქონლით დატვირთული № 68 მატარებელი იდგა. საბრალოს თურმე ეგონა, მატარებელს ორთქლმავალი არ უბიაო და ქვეშ გაძრომა მოინდომა. ამ დროს მატარებელი დაიძრა, ანდრეევისა ქვეშ მოჰყვა და გასრისა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ქიზიყი**, 7 ივნისი. რამდენად ყოველმხრივ დაქვეითებული და უშემწეოა ჩვენი ქიზიყელი გლეხ-კაცობა ამას, სხვათა შორის, შემდეგიც თვალსაჩინოდ ჰხდის. კარგა ხანია ქიზიყის წინაშე ხრის სოფლელები, მაგ. საქობო, ჯუგაანი და სხვა, თამბაქოს წარმოებას მისდევენ. მეტად გადიდდა და გავრცელდა თუთუნის წარმოება ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში, რადგანაც წინამ ხარში ეს ხამი წლეიწადია საკმარისი შური და ღვინო აღარ მოსულა ნოტიო წლეიწადისა და სხვა ბუნების უბედურებათა წყალობით. გლეხ-კაცობამ რაკი დაინახა, რომ ამ მხრივ შრომა არ უვარგოდა, თამბაქოს წარმოებას მიჰყო ხელი. ძლიერ კარგის ჯიშის თამბაქო მოჰყავთ ქიზიყელებს, რაიც დამტკიცებულია, და დიდ-ძალი თუთუნიც მოიყვანეს აქ, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ამათის ოფლით მაინც სხვები სარგებლობენ, თითონ-კი ისევ ხელცარიელები რჩებიან. რა არის ამის მიზეზი? მოგეხსენებათ არა რომელიმე წარმოება უფულოდ არ შეიძლება. ჩვენი გლეხ-კაცი-კი ამ დითონთან, ცოტა არ იყოს მწუხარედ გახლავს. თამბაქოს წარმოებას დასაწყისშივე ფული სჭირდება. გლეხი მიდის ფულიან კაცთან, ეხვეწება, ერთი დესეტინისა ანუ ორის დღიურის თამბაქოს გასაკეთებელი ფული მიბოძეთ, მე ვიშრომებ, ოფლს მოვიწურავ და ბოლოს შემოსავალი შუაზედ გავიყოთო *). თუ ფულიანი კაცი ამ პირობას არ დასთანხმდა, მაშინ იძულებულნი ხდებიან თამასუქით თუმნი თუმში ორ აბაზად და მეტადაც ისესხონ, ისიც თუ ასესხა ვინმემ. გააკეთა თამბაქო, დააწყო დასტებათ, ცალკებიც შეჰკრა—მაისიდგან დაწყებული საქმე ოქტომბრამდის უნდა გაათავოს. ახლა თამბაქოს გაყიდვა უნდა, ღირსეული ვადაც მოიცდის, ფულის პატრონი და ათას გვარი სხვის საჭიროება თავში უკაკუნებს—აი აქედგან იწყება გლეხ კაცის სატანჯველ-განსაცდელის დღე. ვინ ყიდულობს თამბაქოს მუშტარს, როდემდის ელოდოს? მეიდგეღთ კარგად უწყიან მათი გაჭირვებული მდგომარეობა, ამისათვის ახანებენ, აცდენ, თვით მოვიდნენ, შეგვეხვეწნენო. ნატვრა ესრულდებათ. მოთმინების ფიალა აივსო. გლეხ კაცს მეტის ტანჯვა-მწუხარების ატანა აღარ შეუძლიან, მიდის მეიდგელ-მუშტართან, სწორეთ რომ ვსთქვათ, მათ აგენტებთან, რადგანაც თვით ბატონები ქალაქში სცხოვრებენ. ეხვეწება, შენი ჭირიმე ფული მიჭირს, მობრძანდი, ჩემი თამბაქო ნახე და იყიდე — მიიწონე. უკვე მიხვდება, ამ სვეწნა მუდარას რა მოჰყვება. ფუთი თუთუნი რომ ღირდეს თამბაქო, სამ-ოთხ მანეთად, იყიდება. ესე და ამგვარად წურბელაბარჩ-ბოთიები ჩალის ფასად იძარცვენებენ გლეხის ნაოფლარს. ის თუთუნი, რომელიც ტფილისში გირვანქა სამი მანეთი ღირს, აქ ფუთს სამ-ოთხ მანეთად ჰყიდულობენ. თამბაქოს გაყიდვის შემდეგ, რომ „გამოვხრტეთო" ფულის პატრონის თავნი და სარგებელი, ზიარ იქით ვალიც ედება ბევრს, თორემ ღმერთს მადლობას შესწირავდნენ, შრომის ნახევარ ფასს მაინც რომ აიღებდნენ.

*) ამ შემთხვევაში აქ ორგვარი წესია მიღებული: ან ოც-და-ორ თუმანს აძლევენ ორ დღიურ თამბაქოს გაკეთებაში და თამბაქოს გაყიდვის შემდეგ ფულის პატრონი თავნს, ე. ი. ოც-და-ორს თუმანს უკლებლად იღებს, დანარჩენ ფულს შუაზედ იყოფენ.—ფულის პატრონს არავითარი შრომა არ მიუძღვის თამბაქოს წარმოებაში. ან თორმეტ-ცამეტ თუმანს აძლევს ორის დღიურის თამბაქოს გაკეთებაში, ეს ფულები წარმოებაში იკარგება, ბოლოს გაყიდვის შემდეგ შემოსავალს შუაზედ იყოფენ.

ავტ.

* * *

შარშან ამ დროს შეუწამლავი ვენახები გულსაკლავს სურათს წარმოადგენდნენ; ისე გააფუჭა მილდიუმ ფოთოლყურძენი, რომ ცარიელი კლერტები-ღა ეკიდა რქებზედ. წელს-კი ჩვენის გლეხკაცობისა სახელდობრად უნდა ვთქვათ, რომ უწამლავი ვენახებიც ისევ მწვანეთ ხასხასებენ, დაისვრიმებულ დახვავებულებული მტევნები გულ საღხენად გამოიცქირება ფოთლებიდგან. მხოლოდ აქა იქა შეუწამლელ ვენახებს ნაცარი ეტყობა. წელს საიმედოს ბევრი იქნება, რაკი არა ცუდი მიზეზი ხელს არ შეუშლის, ყურძნისა და ღვინის მოსავალი ზედ ახსია.

* * *

შარშანდელთან შედარებით წელს აბრეშუმის ჭიაც ბევრს უჭირავს ჩვენში, რადგანაც ნუხიდგან მოსულმა ზოგებმა აუარებელი ჭიის თესლი დაარიგეს ქიზიყის სოფლებში ამ პირობით: ორი წილი პარკი ჭიის დამჭერისა უნდა იყოს, ერთი წილი თესლის პატრონისა, ამას გარდა პირობა ჰქონდათ ფუთი პარკი ოცდა ხუთ მანეთად აეღოთ, მაგრამ ახლა პირობას უღალატეს. დალოცვილებმა იმოდენა კასრები მოუტანეს ლიტრის მაგიერი, ჩვენებური ორი ლიტრა (ოცი გირვანქა) ჩავა თითო ამ კასრში ფ ოთხ აბას უზიდთუნს ილევიან, მაშასადამე, პირობის მეათედს. ბევრმა წინადმდეგობა გამოუცხადა და განიზრახეს ივითონვე მკედობურად შინ ამოაკეცინონ.

გარდა ამისა, როდესაც თესლს არიგებდნენ, იმათ ქებათ-ქებას საზღვარი აღარა ჰქონდა, თესლი ჯანსაღი და გამადიდებულის შუშით გასინჯულ-შემოწმებულიაო, მაგრამ ძლიერ მოტყუვდა გულ უბრყვილო გლეხობა. ჯანსაღი თესლი მესამედაც არ გამოდგა და ამ გვარად შრომა ნასამდათაც არ დაუფასდათ. სასურველია ჯანსაღი თესლი ვრცელდებოდეს ჩვენ გლეხკაცთა შორის, რათა ისეც ყოველ მხრივ გულ-გატეხილმა გლეხობამ გული არ აიცრუოს ჭიის წარმოებაზედ.

ე. მ—შვილი

—

**სოფ. ნოგხაა** (კაკვაგის მაზრა), 1 ივნისი. 18 მაისს ამ სოფელში კრ-

---

ლაქნი: მცხეთა და უჟარმა და ყოველი ქართლი სიკვდილისა მისისათვის და მოვიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გვამი მისი ადგილსავე ზედა ბუდს დაბასა კხოეთისასა". [16]) ქიზიყიც ხომ საქართველოს ალბანიის ნაწილი იყო. საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდამ აუარებელი ხალხი დაიარებოდა წმიდა ნინოს საფლავის თაყვანის საცემლად ბოდბეში. თვით მცხეთა, სადაც არსებობდა საკათოლიკოსო ტახტი და სასწაულ მომქმედი სვეტი ცხოველი, ხომ საერთო სალოცავი იყო მთელის ქართველობისათვის, ამერ-იმერთათვის. ყოველ წლობით პირველს ღვინობისთვეს ათი ათასობით მოდიოდა ხალხი მცხეთაში იმ ადგილის თაყვანის საცემლად, საიდგანაც ქართლ-კახეთში განეფინა იესო მაცხოვრის სწავლის შუქი და სადაც სახალხო გადმოცემით და ძველის ისტორიულის ცნობებით უფლის კვართი იყო დაფლული. მცხეთის ეკკლესია დედა იყო კახეთის ეკკლესიისა, მცხეთის კათოლიკოსი კახეთის მღვდელთმთავრების უფროსი იყო. საქართველოს ალბანია მცხეთის საკათოლიკოსო სამწყსოს ეკუთვნოდა. დოსითეოსი, პატრიარქი იერუსალიმისა XVII საუკ, ამბობს: „ძველთაგან ზემო—ივერია შეადგენდა დამოუკიდებელს ეპარქიას და შეიცავდა თვის შორის. ქართლსა, ალბანიასა, კავკასიონის მთებსა ლეკეთამდის და კრუანის მთებამდის, სადაც არიან კასპიის მთის ხეობანი [17]) ლეკები და კასპიელნი ერთად გელლებთან ხომ, ალბანიაში სცხოვრობდნენ. კერუანის მთებიც იქ არის [18]). საქართველოს ალბანიის ეპარქიები: ალავერდისა, ქიზიყისა, ნინო წმიდისა, რუსთავისა, ნეკრესისა ხარჭაშნიისა, ჰერემისა და გიშისა. და სხვ. საქართველოს მეფეების და მცხეთის კათოლიკოსების მიერ იყვნენ დაარსებულნი. საქართველოს მეფეები დიდად სცდილობდნენ გაევრცელებ-გაემტკიცებიათ მართლ-მადიდებლობა საქართველოს ალბანიაში. წმიდა მამები: ანტონი მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი, აბიბონ ნეკრესელი და სტეფანე ხირსეული ქრისტიანობას ავრცელებდნენ საქართველოს ალბანიის მოსაზღვრე ლეკებშიაც-კი. წმ. არჩილ მეფემ დიდად იღვაწა ამ მხარეში ქრისტიანობის გავრცელებისათვის [19]). რაც უნდა განცალკევებული ყოფილიყო კახეთ-ჰერეთი ქართლიდამ, მათ შორის მაინც იქნებოდა უეჭველად და კიდეც არსებობდა შინაგანი, სულიერი კავშირი, ღრმა თანაგრძნობა, ერთობა ინტერესებისა, და ამ ერთობის, ამ კავშირის შემუსვრა არ შეეძლოთ თვით „ბჭეთა ჯოჯოხეთისათა". ჰერეთის დედოფალს დინარას ეს ჭეშმარიტება მშვენივრად ესმოდა. დინარა ქმრის სიკვდილის შემდეგ მართავდა ჰერეთს; მან ჯერ თავისს შვილს, ტახტის მემკვიდრეს, მიაღებინა მართლ-მადიდებლობა და შემდეგ გასომხებული ქართველები მართლმადიდებლობითს სარწმუნოებაზედ მოაქცია.

ბაგრატ მესამემ დაიპყრო ჰერეთი და მის გამგედ თავადი აბულალი დანიშნა. მანვე დაიპყრო კახეთი და მისი მეფე კვირიკე ბოჭორმის ციხეში დაამწყვდია; მაგრამ ისევ მალე გაჩნდნენ მეფეები კახეთშა და ჰერეთში. ჰერეთის მეფედ გახდა იშხანიკი, დინარას ძე... ის უშვილოდ გარდაიცვალა. ჰერეთი ამის შემდეგ ბაგრატ მესამის მფარველობის ქვეშ შედის. ბაგრატის სიკვდილის შემდეგ (+1014) კახეთის და ჰერეთის მეფეთ გახდა კვირიკე მესამე დიდი, (1100—1022), რომელიც ერთგული იყო მართლ-მადიდებლობისა... იმის დროს მოღვაწეობდა მცხეთის კათოლიკოსი მელქისედეკი, რომელმაც განამტკიცა კახეთ-ჰერეთში მცხეთის საკათოლიკოსო ტახტის გავლენა. ამ გავლენის გამტკიცება ფრიად სასარგებლო იყო მართლ-მადიდებლოსთვის და საზიანო სომხის სამღვდელოების ინტერესებისთვის. მელქისედეკმა საბერძნეთში შეგროვილის ფულებით მოისყიდა ამ გავლენის დასამყარებლად ჰერეთსა და კახეთში კატეხის ეკკლესია დიდის ადგილ-მამულითურთ, სოფ. კაკში თორმეტი ვაჰარი და ნაწილი ერთის დიდის სოფლის ლაგოდეხის შემოსავლისა, ახატანს უბანი ერთი, და ნიახორნა სოფელი ერთი, შიდარი სოფელი ორი [20]).

თუმცა, მართალია, დიდს განსაცდელში იყო კახეთ-ჰერეთი სომეხთაგან, მაგრამ მის ციხქვეშე და მის ნიადაგზედ აღიზარდა ბევრი საუკეთესო მოღვაწე, რომელთაც აღაყვავეს საქართვ. მართლ მადიდებელი ეკკლესია თვისის ცხოვრებითა და ღვაწლით. ასეთის მოღვაწეების გუნდს ეკუთვნის შესანიშნავი წმიდა მამა ილარიონი, პატივცემული საბერძნეთში, რომელიც მეცხრე საუკუნეში სცხოვრობდა. კახეთ ჰერეთის თვალად, მის დამამშვენებლად და სიამაყედ უნდა ჩაითვალოს არსენი იყალთოელი, ეს ყოვლად—განათლებული მოღვაწე, რომელმაც გახსნა კახეთის დაბას იყალთოს უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი და რომელმაც მტკიცედ დააკავშირა კახეთ-ჰერეთი საქართველოსთან. დიდებულმან მეფეთა შორის წმ. დავით აღმაშენებელმა (+1125)1103 წელს სამუდმოდ მოსპო კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებლობა და შეუერთა ეს მხარე საქართველოს... ამ შეერთების შემდეგ კახეთ ჰერეთს დაუდგა დრო ბედნიერებისა, ხანა აღყვავებისა და მართლ მადიდებლობ.ს-კი — უშიშრობისა. აქვე დაარსა იოანე ტაიჰისძემ გრემის სასწავლებელი. იყალთოს და გრემის სასწავლებლებში აღზარდა ბევრი მოღვაწე, მართლ-მადიდებლობის სიყვარულით აღჭურვილი. მართლ-მადიდებლობამ და ქართველობამ სამუდმოდ გაიმარჯვეს სომხურს სარწმუნოებასა და სომხობაზედ. კახეთ ჰერეთში თითქმის მეჩვიდმეტე საუკუნემდის ამის შემდეგ ქრისტიანობა ჰყვაოდა. მეთოთხმეტე საუკუნეში რომ კახეთ-ჰერეთში ჰყვაოდა ქრისტიანობა, ეს ნათლად სჩანს ერთის სახარების წარწერიდგან, რომელიც ბ-ნ მ. ჯანაშვილს აქვს მოყვანილი თვისს ისტორიაში „საქართველოს პატრიარქმან ექთიმემ მოიხილა ანწუხის საეპისკოპოსო კახეთში... გადმოვიდა წახურს, კაკელისენს, მოვლო საყდარნი: კასრი სამებისა, ყუმი, ლექართს, ზარს, ვარდიანს (წმ. აბოისა), განუხს (წმ. არჩილისა), ქაშნუხს, ვართაშენს, სარანს, ხუნძახისა, ნახჩოს(ნახიჩევანის), თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჭაფიფანეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეხისა და ჯოვლისა ვაკისა ესე იგი ძველი მოჯაკახისა და ელისენისა". ამავე ფრიად-საყურადღებო წარწერიდგან სჩანს, რომ კახეთ-ჰერეთის სკოლებში საღმრთო სჯულის გარდა, ასწავლიდნენ ფილოსოფიას, მამათხცოვრებას, ქართლის ცხოვრებას (საქართველოს ისტორიას); ამ წარწერიდამვე სჩანს, რომ არსებობდა „ცხოვრება ალვანიისა" ისტორიული თხზულება, რომელიც დასწერა პეტრე ლაგაძემან. ამის მიერ დაწერილი „ცხოვრება ალვანიისა" ვახტ სომეხმან საგულისრად დამწვარ ლად გამოაცხადა და სომეხთაც ადგილად იწამეს ჩვეულებისამებრ. [21])

ფარი

---

[16]) თ. ჟორდანია ქრონიკები გვ. 37—39.

[17]) Журн. м. н. п. 1843 წ. ნოემბერი.

[18]) დ. ბაქრაძე საქართვ. ისტ. გვ. 122;

[19]) საქართვ. ისტორია მ. ჯანაშვილისა, მეორე გამოც. გვ. 208;

[20]) H. de. la G. t. I p. 315; თ. ჟორდანია. ქრონიკები გვ. 185.

[21]) თ. ... გვ. 205—206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სამწუხარო ამბავი მოხდა, რომელმაც თავ-ზარი დასცა ახლო-მახლო სოფლელებს. სოფ. ნოგუაკელები ქურდობა-ავაზაკობაში დიდი ხანია შენიშნულნი არიან, ამიტომ, მთავრობა იძულებული შეიქნა ამ სოფლისთვის იარაღი აეყარა ამ ერთის წლის წინად. ამ სოფელშივე, რადგანაც მთავრობამ კეთილსაიმედო კაცი ვერავინა სცნო, რომ მამასახლისად დაენიშნა, სოფ. არიყელი არჩევოვი დაუყენეს. როგორც ამბობენ, არჩევოვი ძალიან დიდ-გულა, ამაყი და თავ-დაუჭერელი კაცი იყო, ამნაირად სოფელიც ამაყი და მამასახლისიც, ქვა და სეტყვასავით მოხვდნენ ერთმანეთს.

17 მაისს მამასახლისმა არჩევოვმა დაიბარა კანცელარიაში რაღაც საქმეზედ ამავე სოფლელი ოსი სოქაევი, რომელიც მამასახლისის დაბარებაზედ არ გამოცხადდა. მეორე დღეს, ე. ი. 18 მაისს მამასახლისი მიდიოდა გზირით ქუჩაზედ. სოქაევი, სულ თვრამეტ-ცხრამეტი წლის მდევივით ვაჟკაცი, რომელსაც კარგი მაგარი მსხვილი ჯოხი ხელში ეჭირა, დაუპირდაპირდა მამასახლისს და სანამ ახლო მივიდოდა, შეეღაპარაკა: „მამასახლისო, გუშინ კანცელარიაში დამიბარებდი, შინ არ ვიყავი და, აი, ეხლა მითხარი რა გინდაო“. მამასახლისმა რომ შეატყო სოქაევს აღელვება, შეუძახა „აქ კანცელარია არ არის, გაბრუნდი, ახლო არ მოხვიდეო“. სოქაევი მაინც არ შესდგა. მამასახლისმა კიდევ გაუმეორა: „ახლო ნუ მოდიხართ, თორემ მოგკლამო“. სოქაევი მაინც არ შესდგა, როგორ თუ მომკლავ, მიბარებდი და მკითხე, რაც გინდაო“. ამ დროს იმრო მამასახლისმა დამბაჩა და დაახალა სოქაევს, რომელსაც ტყვია მოხვდა მარცხენა ყბაში და კისერში გავარდა. დაჭრილი სოქაევი ტყვიას არ შეუშინდა, მოუქნია თავის მაგარი ჯოხი და მამასახლისს შუბლში შემოჰკრა. მამასახლისი ჯერ დაბარბაცდა და მერე გაიძრო ხმალი და ის იყო ამართა მაღლა სოქაევის დასაკვრელად, სოქაევმა მეორეთ მოუქნია ჯოხი მამასახლისს, დაჰკრა მაჯაში და გააგდებინა ხმალი ხელიდგან; ახლა-კი იკადრა მამასახლისმა გაქცევა. სოქაევმა აიღო მამასახლისისვე ხმალი გამოუდგა მამასახლისს. მამასახლისმა როგორც მიატანა რუს და გადასტა, მოეწია სოქაევი, მოუქნია ხმალი და ჩააკვეცა უკანა თემოს რბილი. მამასახლისმა რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა და წაიქცა. სოქაევმა ხმალი გადააგდო, მისდგა თავისის ჯოხით და იმდენი სცემა, რომ მამასახლისი იქვე გარდაიცვალა.

ახლა ზოგი იმას ამბობს, რომ მამასახლისი სოქაევის გასათხოვარს დას შეღაზღანდარებოდა, სოქაევმა ამისი გაჯავრებული მოჰკლაო; ზოგი ამბობს, ვითომ იგი მთელის სოფლისაგან იყო მოსყიდულიო. სოქაევიც გარდაიცვალა. ფიცხელი გამოძიება სწარმოებს. ხმადის, რომ სოფ. ნოგუავაში ეგზეკუცია უნდა ჩააყენონ.

ქართველი ოსებში

## ახლად დაარსებული სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“.

ყველამ უწყის, რა ზომამდის დაქვეითებულია სამეგრელო ქონებრივად; ავერ ოთხი წელიწადი სრულდება, რაც ჟურნალ-გაზეთებში ისმის გოდება სამეგრელოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან—ხალხის უზომო გალატაკებისა. უმთავრესი მიზეზი ამგვარის მოვლენისა, რასაკვირველია, თავდაპირველად სიმინდის ფასის დავარდნაა, რომელიც ერთად-ერთი საგანი იყო ხალხის ყოველგვარი ჭირ-ვარამისგან ხსნისა. ამგვარად იმედ დარწმუნებულ მუშა-კაცს გულ-მხურვალედ მიუყვია ხელი მუშაობისათვის, რადგან არ გამოელის ამით ჩვეულებრივ ხ'ნას გაჭირვებისაგან და, სამწუხაროდ, სხვა რაიმე მოსავლის დამუშავება იმდენად არ იციან სამეგრელოში, რომ იმისმა უხვმა შემოსავალმა ერთ ერთი გაჭირვება დაუფაროს. რა უნდა ჰქნას სოფლის გლეხ კაცმა? რით უნდა არჩინოს ცოლ-შვილი, რითი გადაიხადოს სახელმწიფო და მრავალი წვრილმანი ხარჯ ბეგარა? ეხლა-კი მართლა დაეცა სამეგრელოს საზოგადოება და მათი მოიმედე ვაჭრებიც ჩავარდნენ ისეთს უკიდურესს მდგომარეობაში, რომ იძულებულნი არიან თავი დაანებონ ვაჭრობას, და სხვა გზით ეძიონ ლუკმა პურის შოვნა.

დღეს კი, ცოტა არ იყოს, საშუალების იმედი მიეცა საზოგადოებას ზოგიერთის გონიერ კაცების მეცადინეობით, რომლებმაც წაჰბაძეს გურიასა და ხონს და დააარსეს დ. ძველ სენაკში „სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა შუამავალი“ იმ აზრით რომ ხალხს გაუსაღოს მისი ნაწარმოები რიგიან ფასად და ამითი დაიხსნას ქურდ-ბაცაცა და მოვაჭრე ურია-ბერძენ-სომხებისაგან, რომლებიც ატყუებენ უვიცს ხალხს და მუქთად იგდებენ ხელში იმათს ნაწარმოებს.

ამ აზრით შემდგარი ამხანაგობა დამტკიცდა 4 მაისს ამა წლისას ნოტარიუსისაგან, და 25 მაისს შესდგა არჩევანები საქმის მწარმოებელთა. კრებამ ერთხმად აირჩია ამხანაგობის მმართველად ბ-ნი სამსონ გ. ყიფიანი, ხაზინადრად ლევან მ. ქავთარაძე, მდივნად—ილიანე გოგოლაშვილი; ზედამხედველ კომიტეტის წევრებად: თავადი ოტია ელ. დადიანი, თავადი გიორგი კ. ჩიჩუა და მღ. ბესარიონ თურქია. მეორე დღესვე მმართველმა ბ-ნ ყიფიანმა, სხვათა არჩეულთა დახმარებით, დაიწყო მოქმედება და შეეცადა როგორმე წელს დაეწყო ამხანაგობას ვაჭრობა; თუმცა გვიან იყო, მაგრამ სურვილი მაინც განახორციელა: დაარიგა პაები, სთხოვა შეძლებულთ ფულით დახმარება და ამნაირად საკმაოდ დროებითი თანხა შეაგროვა პარკის საყიდლად. 25 მაისიდგან მარტო პაის ფული შემოუვიდა ამხანაგობას ათას ხუთას მანეთამდის, და მზად არის შეეტაკოს მოვახშეებს და ააწევინოს პარკის ფასი.

რაც შეეხება ადგილს, სადაც დაარსდა ხსენებული ამხანაგობა, სწორედ მოსაწონია, როგორც შუაგული სამეგრელოსი; მით უმეტეს მოსაწონია, რომ მდებარეობა მისი ნაქებია მთელს ოდიშში: მაღლობზე გაშლილი მინდვრები, შესანიშნავი ნოყიერი მიწა, ერთის მხრით მაღალი ევის მთა, მდინარეები, წყაროები, საუკეთესო ჰაერი, მიუცილებლად საჭირო ადამიანის ჯანმრთელობისთვის,—ყოველივე ეს ამშვენებს ამ ადგილის ბუნებითს სიმდიდრეს.

მართლა რომ დიდის აღტაცებით და გულ-ღიად მიეგება სამეგრელოს საზოგადოება ამ მეტად სასიხარულო და სასარგებლო საქმეს; მდიდარია თუ ღარიბი—ყველას ვალად მიაჩნია წევრად თავი ჩაიწეროს. საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა, რომ დროა ადგილობრივ შემძლე მამულიშვილები და ინტელიგენცია გონს მოვიდეს და შეეცადოს თავისის სამშობლოს ბედ-იღბლის გაუმჯობესებას. სრული იმედი გვაქვს, ჩვენი ცნობილი მემამულე, ამხანაგობის ზედამხედველი კომიტეტი, დიდად პატივცემული თავადი ოტია ელიზბარისძე დადიანი და სხვანიც—გულ-წრფელად დაეხმარებიან ამხანაგობას და როგორც ახლად დაარსებულ და ნორჩს—ღონიერ მოქმედებას შეაძლებინებენ, და აგრეთვე ქართველი საზოგადოებაც ყოველგვარ შემწეობას აღმოუჩენს სამეგრელოს ამ ერთად ერთს „ამხანაგობას“...

ა. ქვ—ძე

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** 9 ივნისს დაიწყო ლონდონში საიუბილეო დღესასწაულები დედოფალ ვიქტორიას სამოცის წლის მეფობის გამო და ამიტომ მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობები როგორც თვით დედოფლის, აგრეთვე ინგლისის შესახებ. დედოფალი ვიქტორია ამ ჟამად სამოცდა თვრამეტი წლისაა, მაშასადამე თვრამეტი წლისა ყოფილა, როდესაც ინგლისის ტახტზედ ასული. ევროპაში აქამომდე არც ერთს ხელმწიფეს არ უმეფნია იმდენი ხანი, რამდენიც დედოფალმა ვიქტორიამ იმეფა. ვიქტორიას მეფობის დროს რუსეთში ოთხი იმპერატორი გამოიცვალა, გერმანიაში—ოთხი, ავსტრიაში—ორი, საფრანგეთში ამ ხნის განმავლობაში ორი მეფე გამოიცვალა და ორი რესპუბლიკა. დედოფლის მეუღლე ალბერტ საქსენ-გობურგ-გოტი 1862 წელს გარდაიცვალა, რომელთანაც 9 შვილი ეყოლა. უფროსი ქალიშვილი მისთხოვდა გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხს III, ეხლანდელის იმპერატორის ვილჰელმ II-ის მამას, შემდეგ ეყოლა ალბერტ ედუარდი, უელსის პრინცი; მესამე ქალიშვილი, პრინცესა ალისა, დედა რუსეთის ხელმწიფე იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, ჰესენის პრინცს მისთხოვდა. დანარჩენი შვილებიც ამ რიგად დაუნათესავდნენ ევროპის სახელმწიფოთა სამეფო გვარეულობათ. ამ ჟამად ვიქტორიას 33 შვილიშვილი და 30 შვილი-შვილი-შვილი ჰყავს.

მართალია ვიქტორია დედოფალია, მაგრამ სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში არავითარს მონაწილეობას არ იღებს. ინგლისის საქმეებს მთლად პარლამენტი განაგებს და მეფე მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელია. ამ შემთხვევაში მეფეს ინგლისში უფრო ნაკლები უფლებანი აქვს მინიჭებული, ვიდრე, მაგალითად, საფრანგეთის ან ამერიკის შეერთებულის შტატების პრეზიდენტებსა. იმან მხოლოდ უნდა ხელი მოაწეროს სხვა-და-სხვა ქაღალდებს და დაამტკიცოს ის, რაც უკვე პარლამენტისაგან გადაწყვეტილია.

ვიქტორიას მეფობის დროს, ამ სამოცი წლის განმავლობაში, ინგლისი საშინლად გაძლიერდა და გამდიდრდა. ამ ხნის განმავლობაში ინგლისი ისე შეიცვალა, რომ მაშინდელი და ახლანდელი სახელმწიფო თითქმის აღარაფრითა ჰგავს ერთმანეთს. ეს ცვლილება ინგლისში ნელ-ნელა წლითი წლობით მოხდა. განსაკუთრებულ ინგლისში გაძლიერდა და განვითარა ვაჭრობა-მრეწველობის და აღებ-მიცემობის საქმე. არ არის ეხლა ქვეყანაზედ ისეთი კუთხე, სადაც ინგლისის ახალშენი არ იყოს და გაჩაღებული ვაჭრობა არა ჰქონდეს გამართული.

თვით ინგლისში ამ ჟამად 40 მილიონზე მეტი მცხოვრებელი არ იქნება, ხოლო ახალშენებიანად ბრიტანიის სახელმწიფოს მცხოვრებთა რიცხვი 260 მილიონს აღემატება. მარტო ინდოეთში 200 მილიონია. რასაკვირველია, დიდად განვითარებული, მოხერხებული და ძლიერი უნდა იყოს ეს 40 მილიონი ინგლისელი, რომ ორჯერ და სამჯერ მეტს სხვა ტომის ხალთა მართვა-გამგეობას უძლვება.

# დამაკვირდი

მოკლულის დედასა სძინავს, მაგრამ განსაცდელში მყოფის დედის თვალსკი ძილი არ ეკარება.

მეიდანისა (არაბ.)

***

მხდალიც იმუქრება, როდესაც შიში არაფრისა აქვს.

გიოტე

***

რაც მართებულია, ნება-დართულიც არის.

ლათინური ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

საფრანგეთის მკურნალებმა გენპისემ და სეგიმ სცადეს, როგორ მოქმედობს რენტგენის სინათლე ადამიანის სხეულზედ და დარწმუნდნენ, რომ ეს სინათლე ძლიერ მავნებელი ყოფილა იმისთვის, ვისაც სუსტი და დაავადებული გული აქვს. ერთს ხნიერს კაცსა მიაფინეს გულზედ რენტგენის სინათლე და იმ წამსვე გულის ფრიალი აუვარდა. ასევე მოუვიდა ერთს ქალსაც, რომელმაც სთქვა, გულის ფრიალის გარდა, რენტგენის სხივების გამო, გულში ისეთი ტკივილი ვიგრძენ, თითქოს ნემსი მჩხვლეტსო.

***

ორი მეცნიერი ბ-ნი მუტიე და ბ-ნი გრანიე ამტკიცებენ, რომ ელექტრონის ძალის შემწეობით შეიძლება ხმა გაუძლიერონ იმ მომღერლებსა, ლექტორებს და ვექილებს, რომელთაც ხმა აქვთ წასული. ამ მეცნიერებმა ეხლახან წაიკითხეს თვისი მოხსენება საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიაში და სთქვეს, რომ თუ ადამიანს ავადმყოფობისა გამო არა აქვს ხმა წასული, ელექტრონის ძალა წასულს ხმას ძლიერ ადვილად დაუბრუნებსო. კაცს დასვამენ სკამზედ და შეასუნთქებენ ელექტრონის ძალას. ცოტა ხნის შემდეგ ხმა წასულს კაცს უწინ რომ ხმა ჰქონდა, იმაზედ უკეთესი მოუვა თურმე.

***

პარიჟის გამოფენისათვის, რომელიც 1890 წელს უნდა მოხდეს, ინჟენერი დევი ამზადებს მაღალსა და უზარ-მაზარს კოშკს, რომელსაც სახელად „პროგრესის სასახლე ეწოდება“. კოშკი ექვს-კუთხიანი იქნება. მასალად უნდა იხმარონ ფოლადი, ალიუმინი და მინა. კოშკი ოთხის ნაწილისაგან შესდგება. პირველსა და მეორე ნაწილში იქმნება 5 სართული თითოში, მესამეში—6 სართული და მეოთხეში—8. ამ გვარად კოშკი შესდგება 24 სართულისაგან.

კოშკში გამართული იქმნება რესტორანები, ყავახანები, თეატრები და სხვ. 22 ათასი ელექტრონის ლამპარი მთელს კოშკს გაანათებს. ფერადის მინების წყალობით განათებული კოშკი სწორედ რომ საუცხოვო სანახავი იქმნება. კოშკის წვერზედ გამართული იქმნება უზარმაზარი საათი. საათს რომ დაჰკრავს, პატარა კოშკიდგან გამოვლენ თავის-თავად სხვა-და-სხვა ქანდაკებანი და მთელს კოშკს შემოუვლიან. ეს ქანდაკებანი წარმოადგენენ სხვა-და სხვა სამეცნიერო გამოგონებას: წიგნის ბეჭდვას, ტელეგრაფს და სხვ. საათის ზემოდგან იქმნება უშველებელი სამუსიკო არღანი და 64 დიდი ამრები. კოშკის წვერზედ იდგება დიდი მამალი: საათი რომ დაჰკრავს ხოლმე, მამალი ფრთებს შემოჰკრავს და „ყიყლიყოს“ დაიძახებს ისეთის ხმით, რომ მთელს გამოფენაზედ, სადაც უნდა იყოს კაცი, ყივილს გაიგონებს. გარდა ამისა საოცარი ის იქნება, რომ ყოველ საათს კოშკი თავის თავად მობრუნდება ხოლმე თავისს ღერძზედ.

## სასამართლოს მატიანე

—

(ქუთაისის ებრაელთა წინააღმდეგ უწესოების საქმე).

10 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე 1895 წ. 16 ოქტომბერს ქუთაისში მომხდარ უწესოების შესახებ ებრაელთა მიმართ. საქმის გარჩევის დროს თავმჯდომარედ ს. ბ. ვრასსკი იყო, ხოლო წევრებად—ა. პ. ფრანცევი და კ. პ. კოლბასინი. როგორც გაზ. „ივერიის“ მკითხველებსაც ეხსომებათ, ხსენებულის უწესოების დროს გამძვინვარებულმა ბრბომ 108 ებრაელის სახლი მთლად მოაოხრა და მრავალი ებრაელი გალახა. საქმე ბრალმდებელმა და ბრალდებულთ: ბესარიონ და კონსტანტინე სალრიშვილებმა, ნესტორ და ბართლომე შანიძეებმა, ესტ. ჯიბლაძემ, ონისიმე სულაქაძემ, ერმ. ტყეშელაშვილმა, ათანასე ლოსაბერიძემ, პარმ. დევიძემ, სამსონ რევიშვილმა და ბიქტორ ერისთავმა გაიტანეს პალატაში განსახილველად.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ ზემოდ აღნიშნულ ბრალდებულთ—სალრიშვილებს, შანიძეებს, რევიშვილს, სულაქაძეს, ავალიანსა და დევიძეს ყველა უფლებათა ჩამორთმევა და ციმბირის მახლობელს ადგილებში გაგზავნა მიუსაჯა; ჯიბლაძეს—ციმბირის შორეულს ადგილებში გაგზავნა, ლორთქიფანიძეს—ტობოლის გუბერნიაში გადასახლება, ტყეშელაშვილს—2 წლით დაპატიმრება, ლოსაბერიძეს—2 წლითა და 4 თვით პატიმართა როტაში გაგზავნა, ხოლო ერისთავს—ასტრახნის გუბერნიაში საცხოვრებლად გადასახლება.

პალატაში ბრალდებულთ: ერისთავს, კანდელაკსა და ავალიანს ნაფიცი ვექილი ბ-ნი ჩიკვაიძე იცავდა, ტყეშელაშვილსა და დევიძეს—ბ ნი პახომოვი, ხოლო დანარჩენთ—ბ ნი ინგისტოვი.

ტფილისის სამოსამართლო პალატამ ბრალდებული ერისთავი გაამართლა, ხოლო დანარჩენთა შესახებ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

## მცირე შენიშვნის პასუხად.

(გურიის ამხანაგობის გამგეობას)

„ივერიის“ მე-95 №-ში დაბეჭდილია მცირე შენიშვნა გურიის ამხანაგობის გამგეობისაგან, რომელიც როგორც ჩემთვის, ისე სხვისთვის სრულიად უცნობია. არც ერთმა იმათგანმა, რომლებმაც უკანასკნელი ფარა ამხანაგობაში შეიტანე' და ამით გაკეთებას მოელოდნენ, ჯერ

კიდევ არ იციან, ვინა და ვინ იქმნა ამორჩეული გამგეობის წევრებად და ამავე დროს ეს უცნობი გამგეობა გვარწმუნებს: ,,ჩვენ მზად გვაქვს 20-30 ათასი მანეთი წელს პარკის სავაჭროდო''. კეთილი და პატიოსანი, ეგ თუ მართალია და ჩვენმა ამხანაგობამ ამდენი ნდობა დაიმსახურა, რომ 20—30 ათას მანეთს ჰშოულობს სესხად; მაგრამ ჯერ ჩვენ კიდევ არა გვჯერა. არა გვჯერა და ეჭვში გვაგდებს ,,უცნობის გამგეობისაგან'' ასეთი ახალი ამბავი, მით უფრო, რომ თუ ამდენი ფულები აქვთ სავაჭროდ, მაშინ ის რიღათი აიხსნება, რომ დუქან-დუქან მეწვრილმანეებთან დადიან და ემუდარებიან: „ფული გვიშოვნეთ პარკისთვისო"?! მე იმას არ დავასახელებ, თუ ვინ ბრძანდებოდა ეს ბატონი, რომელიც ქუჩა-ქუჩა ფულებს დაეძებდა, მხოლოდ კვლავ ვიტყვით, გასაკვირველად მიგვაჩნია ამგვარად საქმის არევ-დარევა და ყოველივე ეს-კი ეჭვს გვიორკეცებს! აი, ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ჩვენში მითქმა-მოთქმა და უსიამოვნო ეჭვები გავრცელდა ამხანაგობის შესახებ. ყველა ამ მითქმა-მოთქმისა და ეჭვების მოსასპობლად ვსცანით საჭიროდ დროიანად შეგვეტყო სარევიზიო კამისიის წევრებისაგან შემოწმებული ანგარიში და მით დაგვერწმუნებინა ხალხი, რომ საქმე ჯერ კიდევ არ ჩამქრალა და აყვავებას მოელის! ამისათვის განმეორებით ვთხოვ სარევიზიო კომისიის წევრებს, დროიანად წარმოადგინონ ყოველივე ანგარიში, უკეთუ მზადა აქვთ; ხოლო თუ საქმე ჯერ ვერ შეუმოწმებიათ, ისიც გვაცნობონ, თუ რა მიზეზია, რომ დღემდის საქმის გარკვევა და ანგარიშის შემოწმება ვერ მოუხერხებიათ.

ი. გოგიჩაიშვილი

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ს. ქვარიანისაგან შედგენილი და ივანე როსტომაშვილის რედაქციით გამოცემული წიგნი—„ახალი საუკეთესო წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში". შინაარსი წიგნისა მარტივი და ყველასათვის ადვილ-გასაგებია. ის შეეხება ჩვენთვის მეტად საყურადღებო საგანს—როგორ გავაშენოთ ვენახები, რომ ეს საქმე იაფადაც გვიჯდებოდეს და მოსავალსაც დიდს გვაძლევდეს? ვურჩევთ მემამულეთ წაიკითხონ ეს წიგნაკი, მით უმეტესს, რომ ფასი წიგნისა გაგზავნით მხოლოდ ორი შაურია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ივნისი.

**ლონდონი.** 11 საათზედ ზარბაზნის სროლით აუწყეს ხალხს, რომ დედოფალი ბუკინგამის სასახლიდამ წმ. პავლეს ტაძრისაკენ წაბრძანდა. ხალხი ალტაცებით ეგებებოდა დედოფალს. ვიდრე სასახლიდამ გამობრძანდებოდა, დედოფალმა ადრევე გაუგზავნა ხალხს შემდეგი ეპისტოლე: „ჩემს საყვარელს ერს გულითა ვმადლობ. ღმერთმან აკურთხოს იგი". კორტეჟს წინ ახალშენთა ჯარები მიუძღოდა. 10 საათიდამ ლორდ მერი სიტში უცდიდა დედოფალს. როდესაც შუადღისას კორტეჟი „ტემპლ ბარ"-ს მივიდა, ლორდმერი კორტეჟს შეუერთდა. ლორდმერს ხელში სიტის მახვილი ეჭირა. წმ. პავლეს კარის-ბჭე, სადაც უცხოელნი ელჩნი და დესპანნი იყვნენ შეკრებილნი, საუცხოვო სანახავი იყო. კენტერბერის არქიეპისკოპოსი და ლონდონის ეპისკოპოსი ძვირფასის შესამოსელით, აგრეთვე სამღვდელოება და მგალობელნი კარის-ბჭის დასავლეთ კართან იყვნენ შეკრებილნი, რომ აქედამ მიჰსალმებოდნენ დედოფალს, რომელიც ისევ ეტლში ბრძანდებოდა, ვიდრე საერო საგალობელს შეასრულებდნენ, ლოცვა-კურთხევას მოიღებდნენ და მრავალის ხალხის მონაწილეობით საერო საგალობელს იგალობებდნენ. აუარებელი ხალხი დედოფალს ალტაცებით ეგებებოდა და იგიც პირზე ღიმილით უხდიდა მადლობას. მისს უდიდებულესობას სრულიად ჯან-საღი და მხიარული სახე ჰქონდა. საზღვაო ქვეითა ბრიგადა, ახალშენთა პირველი მინისტრები, ახალშენთა ჯარები, ინდოელნი და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ალტაცებით ეგებებოდნენ დედოფალს „ვაშას" ძახილით. როდესაც დედოფლის ეტლი წმ. პავლეს ტაძრის მოედანს გაუსწორდა, დედოფლის ეტლი კარის-ბჭესთან გაჩერდა. პრინცი უელსისა, ჰერცოგები კონნაუტისა და კემბრიჯისა ეტლის მარჯვენა მხარეზედ იდგნენ, დანარჩენი პრინცები ორთავ მხარეზედ იდგნენ ჩამწკრივებულნი. დედოფალს სრულიად შავი ტანისამოსი ეცვა, ხელთ თეთრი ქოლგა ეჭირა. როდესაც დედოფალი უკან დაბრუნდა სასახლისაკენ, ხალხი ტრიბუნებიდამ წამოდგა. დედოფალი ყველას ხელით ამბორს ანიშნებდა. დღესასწაულობამ საუცხოვოდ ჩაიარა.

**ვენა.** 10 ივნისს მეფე პრინცებითა და ამალითურთ ვოკზალზედ მობრძანდა. მეფეს იმპერატორი და ერცჰერცოგები მიეგებნენ. მეფე და პრინცი გოფბურგში ჩამოხტნენ.

**სიმფეროპოლი.** სავაჭრო მოედანს ცეცხლი უკიდია. პირველი სავაჭრო კორპუსი ალში დაფარული. ცეცხლის მქრობლები დიდად სცდილობენ ცეცხლის ჩაქრობას. ცეცხლის ჩაქრობას ადგილობრივი მთავრობაც თვალ-ყურს გაფაციცებით ადევნებს. საქონელი დაზღვეულია. ნავთის სარდაფებს ცეცხლი უკიდია. თითქმის ყოველ წამს აფეთქების ხმა ისმის. ზარალი ზედმიწევნით 150,000 მანეთამდეა.

12 ივნისი.

**სიმფეროპოლი.** დილაზედ ცეცხლი უკვე ჩააქრეს. კორპუსის მარჯვენა მხარე, რომელსაც ცეცხლმა დაჰკრა, გადარჩა. 9 სავაჭრო დუქანი თავის სარდაფებითურთ მთლად დაიწვა.

**დუბლინი.** აქ ინგლისის წინააღმდეგ მანიფესტაციები მოახდინეს. ქუჩებში შავი ბაირაღი და ასეთივე კუბო დაჰქონდათ შემდეგის წარწერით: „ბრიტანიის იმპერია", და თან სამგლოვიარო მარშს უკრავდნენ. მანიფესტაციებში მონაწილეობას მრავალი ხალხი იღებდა. ბევრს ადგილას ხალხმა ფანჯრის ჩარჩოები ჩამოიღო. საქმეში პოლიცია ჩაერია.

**პარიზი.** საგანგებო კომისიამ სცადა, თუ იქს-სხივების ხმარება რამდენად სასარგებლოა საფრანგეთში შემოსულ საქონლის გასასინჯად. იქს-სხივები ამ შემთხვევაში იმითია მეტად კარგი, რომ ჩემოდნებსა და სხვა ამგვარს სამგზავრო ავეჯს დღეის შემდეგ აღარ გახსნიან და პირდაპირ შეიტყობან, თუ საქონელში კონტრაბანდია მოყოლილი.

**უმაღლესი ბრძანება:** დანიშნულ იქმნენ კავკასიის სამხედრო კორპუსის უფროსი კავალერიის გენერალი თავადი ამილახვარი—საგანგებო მინდობილებათათვის კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსთან და კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ზეზემანი—კავკასიის სამხედრო კორპუსის უფროსად.

**ალექსანდრია.** ნამდვილად იტყობინებიან, ბრძანება მოვიდა, რომ სუდანის ექსპედიციისათვის მზადება შეყენებული იქმნასო.

ახალის ჯარის კაცებისა და საომარ იარაღის გაგზავნაც შეყენებულ იქმნა.

**სოფია.** რუსეთის ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების სააგენტომ სოფიაში რუსეთის ნაწარმოებთა მუზეუმი გახსნა.


# განცხადებანი

**„ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის"** გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ამა წლის 14 ივნისს, შაბათს, საღამოს 8 საათს, დანიშნულია **წლიური საზოგადო კრება** ამხანაგობის წევრთა.

კრების საქმენი:

1) განხილვა და დამტკიცება 1896 წლის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება ამ 1897 წლის ხარჯთ აღრიცხვისა.

3) არჩევა გამგეობისა, სარედაქციო და სარევიზიო კამისიების წევრთა.

4) მიღება ახალ წევრთა.

5) დივიდენდის განაწილება.

(3—6—2)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

## „კრებული"

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

## ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში:** «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქიჩრუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში).

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავლის" მაღაზიაში.

**ქუთაისში:** ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფ ნელაძესთან.

**ბათომში:** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან და დოქტორ ვოლსკისთან.

**ფოთში:** სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.

**ოზურგეთში:** კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში".

**საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან.

**ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან.

**ყვირილაში** (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

**წიფაში:** კირილე ხარაძესთან.

**ზუგდიდში:** კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

**სენაკში:** ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.

**ონში:** თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

**განჯაში:** ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.

**ბაქოში:** გიორგი დეკანოზიშვილთან.

**კავკავში:** ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.

**ხონში:** ივანე შარაშიძესთან.

**გორში:** ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

**თელავში:** ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.

**სიღნაღში:** დ. მაჩხანელთან დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.

**ახალციხეში:** გრიგოლ ბურჭულაძესთან.

**ახალქალაქში:** ილია ალიხანიშვილთან.

**ხაშურში:** იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

**მოლითში:** პავლე გურცხალიასთან.

**ბრეთში:** თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—6) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

გამოვიდა და ისყიდება

ი. პ. ბრონ ფონ-ბრენნერის წიგნი

## საკომერციო არითმეტიკა

სავაჭრო და საბანკო ოპერაციები

სრული სახელმძღვანელო 520 ამოცანით და ცხრილებით.

ფასი **2** მანეთი

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ავტორთან: მიხეილის ქუჩა, № 71, და ბარიათინსკის ქუჩა, სასოფლო სამეურნეო ბანკი.

(5—6.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Юнія 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.